საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 1 21 0000687129

08/07/2021

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2021 წლის 24 თებერვლის №157235 წერილით წარმოდგენილ იქნა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი (ცენტრში რეგისტრაციის - №158597) „ბიოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 11 მარტის № 215879 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 27 აპრილის №410849 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა 2021 წლის 17 და 18 მაისს, ხოლო 2021 წლის 22 ივნისს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		•		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		•		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	•			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	•			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	•			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 24 ივნისს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული საერთო შეფასება. საბჭომ რამდენიმე რეკომენდაცია დაამატა/ამოიღო/გადაიტანა რჩევებში, ასევე რამდენიმე რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება.

3. სარეზოლუციო ნაწილი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 14 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:
1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგნილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „ბიოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია, 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ბიოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2021 წლის 8 ივლისის №*686799* სხდომის ოქმის №-06 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი№3).

4. დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:
4.1. გადაიხედოს პროგრამის მიზნები, დაზუსტდეს კონცენტრაციებთან მიმართებაში, ჩამოყალიბდეს უფრო მკაფიოდ;

4.2. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ იყოს გაზომვადი;
4.3. რეკომენდირებულია დაზუსტდეს უცხო ენის წინაპირობა და მაგისტრატურაში მისაღებ ინგლისურ ენაში განისაზღვროს B2 დონე;
4.4. გადახედილ იქნას სილაბუსების თემატიკები და აღმოიფხვრას თემების, ძირითადი სასწავლო ლიტერატურის დუბლირება ამავე და სხვა საფეხურის სასწავლო კურსებთან;
4.5. გადახედილ იქნას სილაბუსების თემატიკები და შესაბამისი რელევანტური ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების და პერიოდიკის უახლესი გამოცემები იქნას მითითებული;
4.6. სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მოვიდეს შესაბამისობაში სასწავლო კურსის სპეციფიკასთან;
4.7. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა;
4.8. რეკომენდირებულია პროგრამის შედეგების შეფასების მექანიზმში გაიწეროს შედეგებზე დაკვირვების გეგმა და პეიოდულობა.

რჩევები:

1. სასურველია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
2. სასურველია პროგრამა ითვალისწინებდეს დარგობრივი ინგლისური ენის არჩევითი კურსის სახით გავლას;
3. სასურველია უცხო ენის მისაღები გამოცდა ჩატარდეს ექსკლუზიურად ინგლისურში;
4. სასურველია გაიწეროს დეტალური ინსტრუქცია (SOP-ები) თუ როგორ იმუშავებენ მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში, ასევე როგორ და რა მექანიზმებით მოხდება მიკრობული ნარჩენების გაუვნებელყოფა;
5. სასურველია უნივერსიტეტში შეიქმნას ბიოეთიკის საუნივერსიტეტო კომიტეტი/საბჭო ან მემორანდუმი გააფორმონ სხვა დაწესებულების ბიოეთიკის საბჭოსთან თანამშრომლობის შესახებ;
6. უსდ-მ პროგრამის ფარგლებში სტუდენტების მეტი ჩართულობა უზრუნველყოს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში;
7. შემუშავდეს მექანიზმები, რომლითაც მოხდება პროფესორის და სხვა აკადემიური პერსონალის აკადემიური და საჯარო აქტივობების შესრულების წახალისება და რაოდენობრივი (ქულებით) შეფასება;
8. რეგულარულად მომზადდეს ვოკშოპები საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებელთათვის ხარისხის განვითარების თემებზე, შიდა ხარისხის განვითარებაში აქტიურად მონაწილეობის მიზნით;
9. სასურველია გაფართოვდეს გარე შეფასების არეალი და განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში უცხოელ დარგის ექსპერტთა მიერ.

5. რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 6 თვე (2021 წლის 27 დეკემბრამდე).

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 25 ივნისს.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“

საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ